

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის რეკომენდაციები

**კოვიდ-19-თან დაკავშირებული ლექსიკისა და ტერმინოლოგიის
მართლწერის საკითხები**

მოკლე ცნობარი

ქართულში ახალი კორონავირუსის შემდეგი სახელწოდებებია
მიღებული:

კოვიდი იბრუნვის თანხმოვანფუმიანი საზოგადო სახელების მსგავსად:

სახ. კოვიდ-ი

მოთხ. კოვიდ-მა

მიც. კოვიდ-ს

ნათ. კოვიდ-ის

მოქ. კოვიდ-ით

ვით. კოვიდ-ად

წოდ. კოვიდ-ო

კოვიდ-19 იწერება დეფისით, იბრუნვის არაბული ციფრებით გამოხატული რიცხვითი
სახელების ბრუნების წესის მიხედვით, ბრუნვის ნიშნის წინ აგრეთვე იწერება დეფისი:

სახ. კოვიდ-19

მოთხ. კოვიდ-19-მა

მიც. კოვიდ-19-ს
ნათ. კოვიდ-19-ის
მოქ. კოვიდ-19-ით
ვით. კოვიდ-19-ად
წოდ. კოვიდ-19-ო

ლათინური გრაფიკის გამოყენებისას ბრუნების წესი იგივეა:

Covid-19

სახ. Covid-19
მოთხ. Covid-19-მა
მიც. Covid-19-ს
ნათ. Covid-19-ის
მოქ. Covid-19-ით
ვით. Covid-19-ად
წოდ. Covid-19-ო

SARS-CoV-2

სახ. SARS-CoV-2
მოთხ. SARS-CoV-2-მა
მიც. SARS-CoV-2-ს
ნათ. SARS-CoV-2-ის
მოქ. SARS-CoV-2-ით
ვით. SARS-CoV-2-ად
წოდ. SARS-CoV-2-ო

კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინათა სახელწოდებები და მათი ვარიანტები¹

ასტრაზენეკა (ინგ. AstraZeneca) იწერება ერთად, უდევისოდ, იბრუნვის, როგორც ა-ზე გათავებული საზოგადო სახელი: მოთხ. ასტრაზენეკა-მ, მიც. ასტრაზენეკა-ს, ნათ. ასტრაზენეკ-ის; (იგივეა, რაც: ოქსფორდის ასტრაზენეკა, ოქსფორდი)

ბიონტეკ-ი (ინგ. BionTech, რეგისტრირებული სახელწოდება – Pfizer BioNTech (BNT162b2) იწერება ერთად, უდევისოდ, იბრუნვის, როგორც თანხმომავანუძიანი საზოგადო სახელი: მოთხ. ბიონტეკ-მა, მიც. ბიონტეკ-ს, ნათ. ბიონტეკ-ის

კანსინო (ინგ. CanSino) იწერება ერთად, უდევისოდ, იბრუნვის, როგორც ო-ზე გათავებული საზოგადო სახელი: მოთხ. კანსინო-მ, მიც. კანსინო-ს, ნათ. კანსინო-ს)

კოვაქსინ-ი (ინგ. CoVaxin, რეგისტრირებული სახელწოდება – Bharat Biotech BBV152 COVAXIN): მოთხ.: კოვაქსინ-მა, მიც. კოვაქსინ-ს, ნათ. კოვაქსინ-ის

მოდერნა (ინგ. Moderna, რეგისტრირებული სახელწოდება – Moderna (mRNA-1273)) იწერება ერთად, უდევისოდ, იბრუნვის, როგორც ა-ზე გათავებული საზოგადო სახელი: მოთხ. მოდერნა-მ, მიც. მოდერნა-ს, ნათ. მოდერნ-ის

ოქსფორდის ასტრაზენეკა (ინგ. Oxford/AstraZeneca): მოთხ. ოქსფორდის ასტრაზენეკა-მ, მიც. ოქსფორდის ასტრაზენეკა-ს, ნათ. ოქსფორდის ასტრაზენეკ-ის; იგივეა, რაც: ასტრაზენეკა, ოქსფორდი

ოქსფორდ-ი (ინგ. Oxford/AstraZeneca): მოთხ. ოქსფორდ-მა, მიც. ოქსფორდ-ს, ნათ. ოქსფორდ-ის; იგივეა, რაც: ასტრაზენეკა, ოქსფორდის ასტრაზენეკა

¹ ზოგიერთ ვაქცინას სხვადასხვა სახელით ვიცნობთ, ამიტომაც ჩამონათვალში ყველა შესაძლო დასახელებაა მითითებული.

სინოვაკ-ი (ინგ. SinoVac, რეგისტრირებული სახელწოდება – Sinovac-CoronaVac): მოთხ. სინოვაკ-მა, მიც. სინოვაკ-ს, ნათ. სინოვაკ-ის

სინოფარმ-ი (ინგ. Sinopharm): მოთხ. სინოფარმ-მა, მიც. სინოფარმ-ს, ნათ. სინოფარმ-ის
სპუტნიკ-V (იკითხება, როგორც „სპუტნიკ-ვი“²) (ინგ. Sputnik V, რეგისტრირებული სახელწოდება Gam-COVID-Vac): მოთხ. სპუტნიკ-V-მ, მიც. სპუტნიკ-V-ს, ნათ. სპუტნიკ-V-ს

ფაიზერ-ი (ინგ. Pfizer, რეგისტრირებული სახელწოდება – Pfizer BioNTech (BNT162b2)): მოთხ. ფაიზერ-მა, მიც. ფაიზერ-ს, ნათ. ფაიზერ-ის; იგივეა, რაც ბიონტეკ-ი;

იანსენ-ი (ინგ. Janssen, რეგისტრირებული სახელწოდება – Janssen Ad26.COVID.S) – მოთხ. იანსენ-მა, მიც. იანსენ-ს, ნათ. იანსენ-ის); იხილეთ აგრეთვე „ჯონსონი და ჯონსონი“

„ჯონსონისა და ჯონსონის“ ვაქცინა იანსენ-ი (ინგ. Johnson and Johnson’s vaccine Janssen)

კოვიდ-19-ის სხვადასხვა ვარიანტის სახელწოდებები

ალფაშტამი იწერება ერთად, უდეფისოდ; იგივეა, რაც შტამი ალფა

დელტაშტამი იწერება ერთად, უდეფისოდ; იგივეა, რაც შტამი დელტა

ომიკრონშტამი იწერება ერთად, უდეფისოდ; იგივეა, რაც შტამი ომიკრონი

შტამი იგივეა, რაც ვარიანტი, ნაირსახეობა: ალფავარიანტი, დელტავარიანტი,

ომიკრონვარიანტი; ალფანაირსახეობა, დელტანაირსახეობა, ომიკრონნაირსახეობა

შტამი ალფა იბრუნვის იმავე ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულის მსგავსად: მოთხ. შტამ-

მა ალფა-მ, მიც. შტამ ალფა-ს, ნათ. შტამი ალფას; იგივეა, რაც ალფაშტამი

² რუსული ვაქცინის სახელწოდება შეიცავს ლათინურ V-ს, რაც ინგლისურ სიტყვას „victory“ (გამარჯვება) უკავშირდება.

შტამი დელტა იბრუნვის მსგავსი ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულის მსგავსად: მოთხ.

შტამ-მა დელტა-მ, მიც. შტამ დელტა-ს, ნათ. შტამი დელტა-ს; იგივეა, რაც

დელტაშტამი

შტამი ომიკრონ-ი იბრუნვის მსგავსი ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულის მსგავსად:

მოთხ. შტამმა ომიკრონ-მა, მიც. შტამ ომიკრონ-ს, ნათ. შტამი ომიკრონ-ის; იგივეა, რაც

ომიკრონშტამი

კოვიდ-19-თან დაკავშირებული სხვა ლექსიკის მართლწერა

კოვიდპანდემია იწერება ერთად, უდევისოდ – მოთხ. კოვიდპანდემია-მ, მიც.

კოვიდპანდემია-ს, ნათ. კოვიდპანდემი-ის

ეპიდემია – ნათ. ეპიდემიის

კოვიდსერტიფიკატ-ი იწერება ერთად, უდევისოდ

კოვიდპასპორტ-ი იწერება ერთად, უდევისოდ

კოვიდრეგულაცია – ნათ. კოვიდრეგულაციის

ვაქცინა: მოთხ. ვაქცინა-მ, მიც. ვაქცინა-ს, ნათ. ვაქცინ-ის

ვაქცინაცია: მოთხ. ვაქცინაცია-მ, მიც. ვაქცინაცია-ს, ნათ. ვაქცინაცი-ის; იგივეა, რაც

აცრა

აცრა: მოთხ. აცრა-მ, მიც. აცრა-ს, ნათ. აცრ-ის; იგივეა, რაც ვაქცინაცია

საყოველთაო ვაქცინაცია

საყოველთაო აცრა

გამაძლიერებელი აცრა (ინგ. booster)

ჩაკეტვა (ინგ. lockdown)

ნაწილობრივი ჩაკეტვა (ინგ. partial lockdown)

სრული ჩაკეტვა (ინგ. full lockdown)

შეზღუდვა (ინგ. restriction)

აფეთქება (ინგ. outbreak)

პირბადე ნათ. პირბად-ის

ნილაბი ნათ. ნილბ-ის

სამედიცინო ნილაბი

დეზინფექცია

სადეზინფექციო ბარიერი

სადეზინფექციო ხალიჩა

ტემპერატურის შემოწმება (ინგ. thermal screening); იგივეა, რაც თერმოშემოწმება

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია – ჯანმო

კოვაქსის პლატფორმა

ვაქცინაციის პუნქტი; იგივეა, რაც აცრის პუნქტი

ვაქცინაციის მოძრავი პუნქტი; იგივეა, რაც აცრის მოძრავი პუნქტი